ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4585000

ნომერი: AR1692880

თარიღი : 09.07.2019

გაცემის თარიღი : 11.07.2019

გაცნობის თარიღი : 11.07.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, გივი სვანიძის ქუჩა, N 6;

დამკვეთი-განმცხადებელი

- პაატა კაკულია პ/ნ 62004002124
- გულრიფში ს. ბაღმარანი

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 18 აპრილის №3919364 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2019 წლის 09 ივლისს №AR1692880 განცხადებით მომართა პაატა კაკულიამ და მოითხოვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ –

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 18 აპრილის №3919364 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2018 წლის 18 აპრილის №3919364 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი - ვაკე, თამარაშვილის შესახვევი N8-ის მიმდებარედ/ ქალაქი თბილისი, შესახვევი თამარაშვილი N6-ში კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი №01.14.07.008.137), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი.

სამსახურის 2018 წლის 21 მაისის № 3971303 ბრძანებით ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 21.05.2018 -დან 21.07.2020-ის ჩათვლით.

წარმოდგენილი განცხადებით განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2018 წლის 18 აპრილის №3919364 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას, კერძოდ მიუთითებს, რომ შეთანხმებულ გეგმებზე არასწორად იყო მითითებული საზაფხულო ფართები და აღნიშნულიდან გამომდინარე ითხოვს 2019 წლის 09 ივლისის №AR1692880 განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი გეგმების ჩანაცვლებას, ასევე აღნიშნავს, რომ +3.00 ნიშნულზე საოფისე ფართის გეგმის შტამპზე მითითებულია კომერციული ფართი, საოფისე ფართის ნაცვლად და ითხოვს აღნიშნულის შესწორებას.

სამსახურმა განმცხადებლის მიერ 2019 წლის 09 ივლისს №AR1692880 განცხადებაზე წარმოდგენილი შესწორებული გეგმა - ნახაზები შეადარა შეთანხმებულ გეგმა - ნახაზებს და დაადგინა, რომ 2018 წლის 18 აპრილის №3919364 ბრძანებით შეთანხმებულ გეგმებზე ფართების მითითებასთან დაკავშირებით დაფიქსირდა ტექნიკური შეცდომა. ამასთან, სამსახურმა დაადგინა, რომ გეგმები არ იცვლება, უბრალოდ ხდება გეგმებზე ფართობების დაზუსტება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.

ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 18 აპრილის №3919364 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 18 აპრილის №3919364 ბრძანებაში და აღნიშნული ბრძანებით შეთანხმებული გეგმები ჩანაცვლდეს 2019 წლის 09 ივლისს №AR1692880 განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი გეგმებით.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 18 აპრილის №3919364 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 18 აპრილის №3919364 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.